პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამშაბათი, 16 მარტი, 1943 წ. № 62 (6687). ფასი 20 კაპ.

მილიონების პატრიოტული ინიციატივა

ისტორია იცნობს დანმათავისუფლებელ ომებს, როცა ხალხის მასები აღმდგარან თავიანთი ნაციონალური და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დასაცავად. მაგრამ ასეთი დარაზმულობა, ასეთი საყოველთაო-სახალხო ერთიანობა, ასეთი დიადი და საყოველთაო პატრიოტული მოძრაობა, როგორიც უჩვენეს მსოფლიოს საბჭოთა კავშირის ხალხებმა ჰიტლერელი ყაჩაღების წინააღმდეგ სამამულო ომის დღეებში, ისტორიას ჯერ კიდევ არ სცოდნია. თავისუფალი საბჭოთა საზოგადოება აღსდგა თავისი უფლებების დასაცავად, როგორც მძლეთა მძლებუმბერაზი.

გერმანელი ფაშისტი ოკუპანტების წინააღმდეგ ჩვენი ბრძოლის საყოველთაო-სახალხო ხასიათი უაღრესად მკაფიოდ სჩანს საბჭოთა ქვეყნის მილიონობით მშრომელთა იმ პატრიოტულ მოძრაობაში, რომელიც გამოიწვია ამხანაგ სტალინის მოწოდებამ—მობილიზაცია ვუყოთ მთელ ძალებს საძულველი მტრის გასანადგურებლად.

1942 წლის 7 ნოემბრის ბრძანებაში თავდაცვის სახალხო კომისარმა ამხანაგმა სტალინმა დასახა ამოცანა—შეუპოვრად და დაჟინებით ვამზადოთ შემმუსვრელი დარტყმა მტრის წინააღმდეგ. ბელადის მოწოდების პასუხად ტამბოვის ოლქის კოლმეურნეებმა გადასწყვიტეს თავიანთი შრომითი დანაზოგით აეგოთ და წითელი არმიისათვის გადაეცათ **სატანკო კოლონა.** ამავე დროს სარატოველმა რიგითმა კოლმეურნემ, რუსმა გლეხმა თერაპონტე გოლოვატიმ 100.000 მანეთი შეიტანა თვითმფრინავის ასაგებად, ხოლო მთელმა სარატოვის ოლქმა ათეულმილიონობით მანეთი შეიტანა **საავიაციო ესკადრილიების** მშენებლობისათვის.

დიდმა სტალინმა თავისი ძმური სალამი და წითელი არმიის მადლობა გადასცა საბჭოთა პატრიოტებს. ამხანაგ სტალინის პასუხებმა, რაც პრესაში გამოქვეყნდა, მთელი ჩვენი ქვეყანა აამოძრავეს. სატანკო კოლონებისა და საავიაციო ესკადრილიების აგება პირდაპირ მთელი ჩვენი ხალხის საქმედ იქცა. ამ პატრიოტული საქმისათვის უკვე მილიარდობით მანეთია შეგროვებული.

ამ უკანასკნელ ხანს ფრონტისადმი დახმარება მრავალრიცხოვან და მრავალნაირ ფორმებს იღებს.

მოლოტოვის სახელობის საარტილერიო ქარხნის მუშაკებმა წამოაყენეს წინადადება — **გეგმის გადამეტებით დაემზადებინათ საჭურველი წითელი არმიის XXV წლისთავის აღსანიშნავად.** ამას მოჰყვა მრავალი ათასი ქარხნის სოციალისტური ვალდებულებანი სახელმწიფო საწარმოო გეგმების გადაჭარბებით შესრულების შესახებ. ირკუტსკის ოლქის მოწინავე კოლმეურნეობანი გამოვიდნენ წინადადებით — სსრ კავშირის მთავრობასთან შეიქმნას **გერმანელებისაგან განთავისუფლებული რაიონების დახმარების სტალინური ფონდი.** ყაბარდო-ბალკარეთის კოლმეურნეებმა მოაწყეს სოციალისტური შეჯიბრება **ამა წლის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა საუკეთესოდ ჩატარებისათვის.** სარატოველები აგროვებენ კვების პროდუქტებს **საბჭოთა მეომრების ჯანმრთელობის ფონდისათვის.** სამდინარო ფლოტის მუშაკებმა გადასწყვიტეს გააფართოონ თავის საწარმოთა საკუთარი სასურსათო ბაზა და **საკუთარ დამხმარე მეურნეობათა პროდუქციით შესცვალონ ცენტრალიზებული მომარაგების სასურსათო ფონდები,** რათა ჩვენი ქვეყნის თავდაცვის საჭიროებისათვის გაათავისუფლონ დიდძალი თევზი, კარტოფილი, ბოსტნეული, ხორცი, ცხიმეული, ბურღული. სტალინის სახელობის საარტილერიო ქარხნის მუშებმა წამოაყენეს წინადადება — მოეწყოს **წინასამაისო სოციალისტური შეჯიბრება** ფრონტისათვის გეგმის გადამეტებით პროდუქციის გამოსაშვებად. ქალაქ კუიბიშევის მშრომელები გამოვიდნენ წინადადებით — შეიქმნას მძლავრი **განსაკუთრებული ფონდი წითელი არმიის მთავარი სარდლობისა** თითოეული საწარმოს მიერ 1943 წლის პროგრამის გადაჭარბებით შესრულების ხარჯზე. ასეთი ფონდის შექმნის იდეას უკვე გამოეხმაურნენ ჩვენი ქვეყნის მრავალ ადგილას.

სამი დღის წინათ—11 მარტს „პრავდაში“ დაიბეჭდა წერილი ამხანაგ სტალინისადმი შეიარაღების სახალხო კომისარიატის № 74 ქარხნის კოლექტივისა, რომელმაც მოწოდებით მიმართა სასრო�sა იარაღის ყველა ქარხანას შეჰქმნან 1 მაისის დღისათვის **გამარჯვების სტალინური ფონდი.** ქარხნის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა, რომ 1 მაისისათვის გეგმის გადამეტებით შეაიარაღებს 2 ქვეითს დივიზიას, 10 ავიაპოლკს, 2 ავიაესკადრილიას, გაათავისუფლებს რაციონალიზატორულ ღონისძიებათა გატარების ხარჯზე 60 ლითონმჭრელ ჩარხს და გეგმის გადამეტებით დაამზადებს საჭირო ინსტრუმენტს სახელოვანი სტალინგრადის მრეწველობისათვის.

ყოველივე ამას უნდა დავუმატოთ ის, რომ ომის პირველი დღეებიდანვე მშრომელთა ინიციატივით დაიწყო სამშობლოს დაცვის მძლავრი ფონდის შექმნა, გაჩაღებულია ფრონტელთათვის თბილი ტანსაცმლისა და საჩუქრების შეგროვება. მშრომელნი აქტიურ მონაწილეობას იღებენ ფრონტელთა ოჯახებისათვის დახმარების აღმოჩენაში, ობოლთა აღზრდაში, სამამულო ომის ინვალიდებისათვის დახმარებაში.

დღეს „პრავდაში“ იბეჭდება გრძნობისაღმძვრელი წერილი ამხანაგ სტალინისადმი. ამ წერილში ჰიტლერელი ყაჩაღებისაგან განთავისუფლებული სახელოვანი დონის კაზაკები და კაზაკი ქალები გულითად მადლობას უძღვნიან ამხანაგ სტალინს. თავიანთი თავისუფალი სოციალისტური სამშობლოს სიყვარულით გამსჭვალულმა დონის კაზაკებმა და კაზაკმა ქალებმა 15 მილიონ მანეთზე მეტი შეაგროვეს სატანკო კოლონა „დონელი კაზაკის“ ასაგებად. წითელი არმიის მიერ განთავისუფლებული **ყველა** საბჭოთა რაიონის მშრომელთ უდიდესი სიხარულით შეაქვთ თავიანთი პირადი სახსრები განმათავისუფლებელი წითელი არმიის ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის.

ყოველივე **ეს ჩვეულებრივი კამპანიები** როდია.

ეს არის უაღრესად მკაფიო დემონსტრაცია საბჭოთა ხალხის ერთიანობისა, მისი დარაზმულობისა საბჭოთა მთავრობისა **და** ბოლშევიკური პარტიის გარშემო, ხალხთა დიდი ბელადის, სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა უმაღლესი მთავარსარდლის, საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ **სტალინის** გარშემო.

ეს არის საბრძოლო დათვალიერება საბჭოთა საზოგადოებრიობის ძალებისა, რომელიც მთელ თავის შესაძლებლობებს ამობილიზებს იმისათვის, რომ სძლიოს მტრის გაფთრებული წინააღმდეგობა და განდევნოს **იგი** ჩვენი მშობლიური მიწა-წყლიდან.

ეს არის საბრძოლო დემონსტრაცია იმისა, რომ საბჭოთა ხალხი მზად არის ყოველგვარი განსაცდელი აიტანოს, ყოველგვარი სიძნელე გადალახოს, რათა საბოლოოდ გაანადგუროს საზიზღარი მტერი.

მშრომელთა ინიციატივის მრავალსახეობა ცხადჰყოფს თუ რა ძალები გამოაღვიძა საბჭოთა ხელისუფლებამ ხალხში. **ახლა ეს** ძალები მთლიანად უნდა **იქნას** ამოძრავებული! სახალხო ინიციატივას სწრაფად უნდა გამოეხმაურონ და სათავეში ჩაუდგნენ პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული, პროფკავშირული ორგანიზაციები. ამხანაგი სტალინი პატრიოტების წერილებზე გაცემული თავისი პასუხებით ყველას გვიჩვენებს იმის მაგალითს, თუ როგორი გულისხმიერებით უნდა გამოვეხმაუროთ ხალხის ყოველგვარ თაოსნობას, რომელიც მიმართულია ფრონტისადმი დახმარების ყოველნაირად გაძლიერებისაკენ.

ჩვენს ქვეყანაში დაუშრეტელია სახალხო ინიციატივის წყაროები. **ეს** ინიციატივა რომ თავის დროზე და სავსებით გამოვიყენოთ, ამისათვის პარტიულმა და საბჭოთა ხელმძღვანელებმა ადგილებზე უდიდესი ორგანიზატორული მუშაობა უნდა განავითაროონ მოწინავე ადამიანთა, მოწინავე კოლექტივთა თაოსნობის პრაქტიკული რეალიზაციისათვის.

წინასამაისო სოციალისტური შეჯიბრების, საგზაფხულო თესვის საუკეთესოდ ჩატარებისათვის, მთავარი სარდლობის განსაკუთრებული ფონდის შექმნისათვის, გამარჯვების სტალინური ფონდის შექმნისათვის სოციალისტური შეჯიბრების ძალას წარმოადგენს მისი მასობრიობა. მაშ მივაღწიოთ იმას, რომ ამ შეჯიბრებაში ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელნი მონაწილეობდნენ! მივაღწიოთ იმას, რომ ხორცი შევასხათ საბჭოთა ადამიანების ნება-სურვილს — გააძლიერონ წითელი არმიისადმი დახმარება! მივცეთ ჩვენს წითელ არმიას კიდევ უფრო მეტი იარაღი და საომარი მასალა, საჭირველი და სურსათი, ყოველივე ის, რაც მას ესაჭიროება მტერზე სრული გამარჯვების მოსაპოვებლად!

„პრავდის“ მოწინავე, 14/III.

ბრძანებაღება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
წითელი არმიის ჯარის ნაწილების დაჯილდოების შესახებ

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სტალინგრადთან ბრძოლებში სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან მამაცობისა და გულადობის გამოჩენისათვის დაჯილდოებულ იქნან:

ლენინის ორდენით

გვარდიის მე-4 წითელდროშოვანი ნაღმმტყორცნელი პოლკი.

წითელი დროშის ორდენით

1. გვარდიის მე-17 ნაღმმტყორცნელი ბრიგადა
2. გვარდიის მე-5 ნაღმმტყორცნელი პოლკი
3. გვარდიის მე-18 ნაღმმტყორცნელი პოლკი
4. გვარდიის მე-19 ნაღმმტყორცნელი პოლკი
5. გვარდიის 21-ე ნაღმმტყორცნელი პოლკი
6. გვარდიის 23-ე ნაღმმტყორცნელი პოლკი
7. გვარდიის 51-ე ნაღმმტყორცნელი პოლკი
8. გვარდიის 85-ე ნაღმმტყორცნელი პოლკი
9. გვარდიის 92-ე ნაღმმტყორცნელი პოლკი
10. გვარდიის 93-ე ნაღმმტყორცნელი პოლკი
11. გვარდიის 94-ე ნაღმმტყორცნელი პოლკი
12. გვარდიის 110-ე ცალკეული ნაღმმტყორცნელი დივიზიონი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1943 წ. 15 მარტი.

ლეიტენანტი ი. ზახარია დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის ორდენით

(მოსკოვი, „კომუნისტის“ საქ. კორესპონდენტისაგან)

წითელარმიელი გაზეთი „კრასნაია ზნამია“ 22 თებერვლის ნომერში ლეიტენანტ ილია გიორგის-ძე ზახარიას თავდადებულ სამამაცოზე მოგვითხრობს შემდეგს:

ფრონტის სარდლობამ წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოდა ლეიტენანტი ილია გიორგის-ძე ზახარია, რომელმაც ამ ცოტა ხნის წინათ ფრონტის პასუხსაგებ უბანზე მომხდარ ბრძოლებში განსაკუთრებული მამაცობა და სიმამაცე გამოიჩინა.

ქვეგანაყოფი, რომელსაც ზახარია მეთაურობს, წინააღმდეგობას უწევდა მტრის ჯარბ ბალებს და საძნელო მდგომარეობაში მოექცა. შეიქმნა ფლანგების შემოვლის საფრთხე. ზახარიან თან წაიღო რამდენიმე გრანატი, იერიშზე წაიყვანა ქვეგანაყოფი და გააღოვნა გარემოცვის რკალი. ქვეგანაყოფმა ხელთ იგდო ტყვეები, რამდენიმე ტყვიამფრქვევი და სხვა ქონება, თვითონ კი არაკეთილი ზარალი არ მოსვლია.

ვ. ყარაგეზარბა

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

15 მარტის დილის ცნობა

14 მარტის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები ბრძოლებს ეწოდნენ წინანდელი მიშართულებებით.

* * *

ვიაზმის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები წარმატებით განაგრძობდნენ შეტევის განვითარებას და დაიკავეს რამდენიმე ათეული დასახლებული პუნქტი, მათ შორის რაიონული ცენტრი ბატარინო. 6 ნაწილის მებრძოლებმა გერმანელთა ორი ასეული ქვეითი ჯარი გაანადგურეს და მოწინააღმდეგეს წაართვეს საველე ქვემეხების ბატარია. 5 ტანკსაწინააღმდეგო ზარბაზანი, 12 ტყვიამფრქვევი, 9 ნაღმსატყორცნი, მრავალი ყუმბარა და ვაზნა.

ქალ. ბელის სამხრეთით მტერი, ეყრდნობარა წინათ მომზადებულ დასაყრდენ პუნქტებს, შეუპოვარ წინააღმდეგობას გვიწევს და ცდილობს შეაჩეროს ჩვენი ჯარების შეტევა. 6 ნაწილის მებრძოლებმა გერმანელთა სიმაგრეების ზოლი გაარღვიეს, წარმატება განავითარეს და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს. ამ ბრძოლებში ჰიტლერელებმა 900-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი დაკარგეს მოკლულთა სახით. ჩვენნა ქვეგანაყოფებმა ხელთ იგდეს: 10 ქვემეხი, 22 ტყვიამფრქვევი, 5 ნაღმსატყორცნი, 39 ავტომანქანა და სხვა დაფა.

* * *

ხარკოვის რაიონში ჩვენი ჯარები გაფთრებულ ბრძოლებს ეწოდნენ მტრის ტანკებისა და მოტოქვეითი ჯარის დიდი ძალების წინააღმდეგ. 6 ნაწილის მებრძოლები დღისა და ღამის განმავლობაში იგერიებდნენ ჰიტლერელთა განუწყვეტელ იერიშებს. ტანკსაწინააღმდეგო ქვეინეხებისა და თოფების ცეცხლით დაზიანებულია გერმანელთა 6 თვითმავალი ზარბაზანი და მოსპობილია 14 ტანკი. თოფ-ტყვიამფრქვევის ცეცხლით და ხელჩართულ შეტაკებებში გაფლეტილია 600-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. სხვა უბანზე ჩვენმა ქვეგანაყოფებმა შეუპოვარი ბრძოლების შემდეგ, რომელთა მსვლელობაშიც ძმიმე ზარალი მიაყენეს მოწინააღმდეგეს, თავდაცვის ახალ ზღუდეზე გადმოინაცვლეს.

* * *

დონის როსტოვის დასავლეთით ჩვენი ნაწილები სარატელერიო-სანაღმმტყორცნო სროლას ეწოდნენ მოწინააღმდეგესთან. ჩვენი არტილერისტებისა და ნაღმმტყორცნელების ცეცხლით მოსპობილია 1 ტანკი, 10 ავტომანქანა, სარკინიგზო შემადგენლობა და გერმანელთა ერთ ასეულამდე ქვეითი ჯარი.

5 ნაწილის მზვერავთა ჯგუფმა ლეიტენანტ პარხომენკოს მეთაურობით ღამე მოულოდნელად მიიტანა იერიში მოწინააღმდეგის სანგრებზე. გერმანელებმა ბატალიონის დროშა, 2 ნაღმსატყორცნი და 5 ტყვიამფრქვევი მიატოვეს და გაიქცნენ.

* * *

ჩერნიგოვის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედი პარტიზანული რაზმი თავს დაესხა სახელოსნოს, რომელშიც გერმანელთა ავტომანქანების რემონტი სწარმოებდა. პარტიზანებმა სწრაფად დაიკავეს გარე დაცვა, სახელოსნოს ტერიტორიაზე შეიჭრნენ და ცეცხლი წაუკიდეს სახელოსნოს, სახელოსნო და შიგ მდგომი ავტომანქანები დაიწვა. ორი დღის შემდეგ ამავე რაზმის პარტიზანებმა რკინიგზის 4 ხიდი ააფეთქეს. სხვა რაზმის პარტიზანებმა ლიანდაგიდან გადააგდეს ფრონტზე მიმავალი გერმანელთა ჯარის ეშელონი. ნოსპობილია 13 საკლასო ვაგონი და 1 ორთქლმავალი. ვაგონების ნამტვრევებქვეშ მრავალი ჰიტლერელი დაიღუპა.

* * *

კალინინის ოლქის იმ სოფლების მცხოვრებლებმა, რომლებიც ამჟამად განთავისუფლებულია გერმანელ დამპყრობთაგან, შემდეგი განაცხადეს ჰიტლერელ ბანდიტთა მიერ ჩადენილი საშინელი მხეცობის შესახებ. სოფელ სტანში გერმანელებმა კოლმეურნეთა ბავრი სახლი თავლებად გადააქციეს. ჰიტლერელებმა ერთ ეზოში მორეკეს 180 მოხუცი, ქალი და ბავშვი, რომელთაც პატიმრების მდგომარეობაში ამყოფებდნენ. რამდენიმე თვის შიმშილისა და ცემის შედეგად 67 კაცი მოკვდა. სოფელ სიტნიკოვოში გერმანელმა ფაშისტმა არამზადებმა უკან დახევისას დაბერტეს კოლმეურნე გრიგოლ პეტროვი, ნისი ცოლი და სხვა მცხოვრებნი. ბანდიტებმა დიდძალი ახალგაზრდობა გარეკეს გერმანიაში კატორღულ სამუშაოზე. ვისაც სიარული არ შეეძლო, ჰიტლერელებმა ყველანი დახვრიტეს.

* * *

იუგოსლავიელი პარტიზანები ზაგრების დასავლეთით გარს შემოერტყნენ იტალიის ჯარის დიდ კოლონას და დაამარცხეს იგი. ბატალიონმა „ნუსოლინიმ“ 450 ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგა მარტო მოკლულთა სახით. პარტიზანებმა ხელთ იგდეს დიდი და დაზარალებული ფაშისტური ეშელონი. ეშელონ-პროზორის სეტტორში რვა დღის ბრძოლები იუგოსლავიელ პატრიოტთა გამარჯვებით დამთავრდა. დამარცხებულმა გერმანელთა ნაწილებმა დიდძალი საჭურველი, საომარი მასალა და სხვადასხვა სამხედრო ქონება დაჰყარეს და უკან იხევენ.

15 მარტის საღამოს ცნობა

15 მარტს ჩვენმა ჯარებმა, მრავალი დღის გაფთრებული ბრძოლების შემდეგ, სარდლობის ბრძანებით დასტოვეს ქალაქი ხარკოვი.

სმოლენსკის ოლქში ჩვენი ჯარები შეტევას ანვითარებდნენ და ქალაქი ხოლმ-ყირკოვსკი დაიკავეს.

დანარჩენ ფრონტებზე ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს წინანდელი მიმართულებებით.

* * *

14 მარტს ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპეს ან დააზიანეს 100-მდე ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, ჩაეჩუმეს 9 საარტილერიო და 7 ნაღმმტყორცნო ბატარია, ააფეთქეს 8 საწყობი საომარი მასალა. ქერჩის სრუტეში ჩაძირულია მოწინააღმდეგის 3 კატერი და 3 კარუბაპი.

* * *

ვიაზმის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ. მოწინააღმდეგე, რომელიც წინასწარ დამზადებულ თავდაცვის ზღუდეს ეყრდნობოდა ხოლმ-ყირკოვსკის რაიონში, ცდილობდა საარტილერიო ცეცხლისა და ქვეითი ჯარისა და ტანკების კონტრიერიშებით შეეჩერებინა ჩვენი ჯარების შეტევა. ჩვენმა ნაწილებმა გაფთრებული ბრძოლის შედეგად განდევნეს გერმანელები ამ თავდაცვითი პოზიციებიდან და ქალაქი ხოლმ-ყირკოვსკი დაიკავეს. ვიაზმის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები შეტევას ანვითარებდნენ და მთელი რიგი დასახლებული პუნქტები დაიკავეს. ნოსპობილია მრავალი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. წამოღებულია დაველ და წამოყენილია ტყვეები.

* * *

ქალ. ბელის სამხრეთით ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ და დაიკავეს 40 დასახლებული პუნქტი, მათ შორის რაიონული ცენტრი ბატურინო. წამოღებულია დაველ, რომელსაც ვითვლით ერთ უბანზე მოწინააღმდეგემ კონტრიერიშე მოიტანა, მაგრამ უკუგდებული იქნა, ამასთან 200-ზე მეტი მოკლული დასტოვა ბრძოლის ველზე.

* * *

სევერნი დონეცის შუაწელის რაიონში ჩვენი ჯარები შეუპოვარ ბრძოლებს ეწეოდნენ მოწინააღმდეგესთან. გერმანელები ცდილობდნენ ხელსაყრელი პოზიციები ჩაეგდოთ ხელში და შეტევაზე გადმოყვანეს ქვეითი ჯარის დიდი ძალები და 18 ტანკი. 6 ნაწილის ქვეგანაყოფებმა ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხების ცეცხლით არეგ-დარეგა შეიტანეს გერმანელთა საბრძოლო წყობილებებში და 11 ტანკი მოსპეს. ჰიტლერელებმა სცადეს ჩაწოლილიყვნენ და ჩასანგრულიყვნენ. მაგრამ ჩვენი მებრძოლების დარტყმების გამო უკან დაიხიეს. ბრძოლის ველზე მტერმა 300-მდე მოკლული დასტოვა.

* * *

ილმენის ტბის სამხრეთით ჩვენმა ნაწილებმა გაანადგურეს გერმანელთა ძლიერ გამაგრებული თავდაცვითი კვანძი და ერთი წყლის ზღუდე გადალახეს. მოწინააღმდეგემ დიდი ზარალი ნახა, დაჭრილები და საჭურველი დაჭყარა და უკან დაიხია.

ჩვენმა მფრინავებმა საჰაერო ბრძოლებში ჩამოაგდეს გერმანელთა 8 თვითმფრინავი. გარდა ამისა, დღის განმავლობაში საზენიტო არტილერიისა და ქვეითი ჯარის იარაღის ცეცხლით მოსპობილია მოწინააღმდეგის 12 თვითმფრინავი.

* * *

მინსკის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა ერთი თვის განმავლობაში ლიანდაგიდან გადააგდო გერმანელთა 15 სამხედრო ეშელონი. დამტვრეულია 9 ორთქლმავალი და 212 ვაგონი. ვაგონების ნამტვრევებქვეშ ბევრი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი დაიღუპა. რკინიგზის სადგურებზე თავდასხმის დროს პარტიზანებმა დაიზიანეს ავტომანქანებით დატვირთული 10 პლატფორმა და 6 ცისტერნი ბენზინი დასწვეს.

* * *

ქვემოთ ქვეყნდება ამონაწერი დღიურისა, რომელიც აღმოაჩნდა ლენინგრადის ფრონტზე მოკლულ პოლიციის დივიზიის გერმანელ ლეიტენანტ ვალტერ გელერს:

„42 წლის 29 ნოემბერი. გერმანიისათვის ომი თანდათან ისეთი ბრძოლის ხასიათს იღებს, რომ იგი უკანასკნელ ძალ-ღონეს სძაბავს.. წინათ ჩვენ ისე ვიბრძოდით, რომ კიდევ გვქონდა სამშობლოში დაბრუნების იმედი. მაგრამ ახლა ვის-და შეუძლია იმის იმედი იქონიოს, რომ უფნებელი დაბრუნდება შინ? ახლა გამარჯვების შანსები ძალიან ცოტაა, თუ ისინი საერთოდ კიდევ მოიპოვება.

31 დეკემბერი. შეგვიძლია თუ არა კიდევ დავუკავშიროთ ახალ წელს რაინე იმედები? გაგულისხმიერნი და გაშმაგებულნი ვდგეგართ ჩვენ გაჭიანურებული ომის ფაქტის წინაშე.

21 იანვარი. დივიზიას საშინელი ზარალი მოსდის. ჩვენს პოლკში თითქმის ყველა ოფიცერი დაიღუპა. საფრთხე უდიდესია. დამარცხებულ ქვეგანაყოფთა საცოდავი ნაშთები სხვა ნაწილებს შეუერთეს, დანარჩენები, როგორც სჩანს, გარშემორტყმული არიან.. დიახ, ეს, რასაკვირველია, ძმიერ ოჩიზისია და, საეჭვოა, რომ მისი გამოსწორება შეიძლებოდეს“.

* * *

წითელი არმიის დარტყმების გამო უკანდახევისას გერმანელი ფაშისტი არამზადები საშინელ მხეცობას სჩადიან მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ. სმოლენსკის ოლქის სოფელ სუხოდოლში ფაშისტმა არამზადებმა ერთ სახლში შერეკეს მცხოვრებთა ჯგუფი. ჰიტლერელმა ჯალათებმა ქალები გაუპატიურეს, ხოლო შემდეგ ცეცხლი წაუკიდეს სახლს. ცეცხლში დაიწვა ი. ფომუშკინა ძეძუთა ბავშვიანად, ევდოკია კოტოვა, ეკატერინე ფრუნტოვა და სხვები. სულ დაიღუპა 24 კაცი, რომელთა შორისაც 8 მცირეწლოვანი ბავშვი იყო.

ვიაზმის დასავლეთით

მოკავშირე არმია, 15 მარტი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). ვიაზმის დასავლეთით ჩვენი ჯარები განაგრძობენ შეტევის წარმატებით განვითარებას. ტყის ცუდი გზებით ანდა სრულიად უგზოდ ჯარები მტკაცედ მიიწევენ წინ. გასულ დღე-ღამეში კვლავ დაკავებულ იქნა რამდენიმე ათეული დასახლებული პუნქტი. ფრონტის ზოგიერთ უბანზე ჩვენმა ნაწილებმა ბრძოლებით გაიარეს 15-მდე კილომეტრი.

გერმანელები განაგრძობენ ძლიერი ცეცხლით წინააღმდეგობის გაწევას. საკმარისია ითქვას, რომ მარტო ხოლმ-ყირკოვსკის რაიონში მტერმა თავი მოუყარა 20-მდე საარტილერიო ბატარიას. აქ მას კონტრიერიშებზე გადმოჰყავს ავრეთვე ქვეითი ჯარი და ტანკები, მაგრამ ვერაფერი ვერ გასტეხს ჩვენი მებრძოლების შეტევითს სულისკვეთებას. საბჭოთა ნაწილებმა გასტეხეს გერმანელთა წინააღმდეგობა, გადავიდნენ დნეპრზე და განდევნეს ჰიტლერელები მდინარის დასავლეთ ნაპირზე არსებული მთელი რიგი დასაყრდენი პუნქტებიდან.

დათბობისა და უგზოობის პირობებში განსაკუთრებით უმძიმთ არტილერისტებს. ქვემეხები მდნარ თოვლში იფლობა, ცხენებს ქანცი უწყდებათ, საწევრები ბუქსაობენ. მიუხედავად ამისა, ჩვენი არტილერისტები ბრწყინვალედ ასრულებენ თავიანთ ამოცანებს, ქვეითი ჯართან ერთად მიდიან თავიანთი ქვემეხებით და ცეცხლს უშენენ მოწინააღმდეგეს.

იზიუმის რაიონში

მოკავშირე არმია, 14 მარტი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). რამდენიმე კილომეტრზე ისმის არტილერიის დაუცხრომელი გრიალი. ჩვენი ჯარები, გამაგრდნენ რა თავიანთ ზღუდეებზე, შეუპოვარ ბრძოლებს ეწევიან მოწინააღმდეგესთან, განუწყვეტლივ მიაქვთ კონტრიერიშები მაიზე, სპობენ გერმანელთა ცოცხალ ძალასა და ტექნიკას.

ჰიტლერელებმა ერთ-ერთ უბანზე მოაყარეს ტანკები და მოტოქვეითი ჯარი. ჩვენი არტილერისტები დანიზნებული ცეცხლით შეხვდნენ მტერს. გვარდიის უფროსი ლეიტენანტის, ორგზის ორდენოსან მოტორინის ბატარიამ რამდენიმე წუთის განმავლობაში დაანიავა გერმანელთა 2 ტანკი და 1 ავტომანქანა ქვეით ჯარიანად. სერჟანტ მაკაროვის ქვემეხის გუნდის წინააღმდეგ მტრის 8 ტანკი მოდიოდა. ფაშისტები ეარაუდობდნენ, რომ პანიკას გამოიწვევდნენ და შემოიჭრებოდნენ ნაწილის განლაგებაში. მაგრამ არტილერისტები არ დაბნეულან. მათ მარჯვე სროლით დააზიანეს 2 ტანკი, ხოლო დანარჩენები უკუაქციეს.

მამაცურად იგერიებდნენ სატანკო იერიშებს ქვეითები, როგორც კი მტრის მანქანები ნიშანში ამოღებულ ზღუდეს მოუახლოვდებოდნენ, ქვეითები ყველა სახის იარაღის მასირებულ ცეცხლს დაუშენდნენ ტანკების საკვირტ სარკმელებს და ჯავშანზე მსხდომ მეავტომატეებს. გაფთრებულ ბრძოლებში ამ დღეს ქვეითებმა მოსპეს გერმანელთა 16 ტანკი, რამდენიმე ქვემეხი, ავტომანქანები ქვეით ჯარიანად, მტრის 1.000-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი.

მოკავშირე იგერიებენ მტრის იერიშებს სტალინგრადის ფრონტზე. ბევრგზის ალეგრ-ბალ-ბალ-ბალ

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

14 მარტის დილის ცნობა

13 მარტის დამის განმავლობაში ჩვენი ჯარები ბრძოლებს ეწეოდნენ წინანდელი მიმართულებებით.

• • •

ვიაზმის დასავლეთით ჩვენი ჯარები სძლევდნენ მტრის წინააღმდეგობას და განაგრძობდნენ შეტევას. ერთი დასახლებული პუნქტის რაიონში გერმანელთა ერთი ბატალიონი ქვეითი ჯარი, ტანკების დახმარებით, ღამის განმავლობაში ორჯერ გადმოვიდა კონტრიერიშზე. ჩვენმა მებრძოლებმა უკუაგდეს ჰიტლერელები, დაედევნენ მათ და დაიკავეს დასახლებული პუნქტი. დაზიანებულია გერმანელთა 4 ტანკი და მოსპობილია 200-მდე ჰიტლერელი. ხელთ ვიგდეთ დავლა, მათ შორის 40 საზიდარი სხვადასხვა ქონება. ვიაზმის სამხრეთით ჩვენმა ნაწილებმა დაიკავეს 20-მდე დასახლებული პუნქტი და რკინიგზის სადგური მილიატინსკი ზავოდი.

• • •

ქალ. ბელის სამხრეთით ჩვენმა ჯარებმა წინ წაიწიეს და დაიკავეს მთელი რიგი დასახლებული პუნქტები. 6 ნაწილის მებრძოლნი გარს შემოერტყნენ მოწინააღმდეგის დასაყრდენ პუნქტს და გაელიტეს ერთ ასეულზე მეტი ჰიტლერელი, რომლებმაც უარი თქვეს იარაღი დაეყარათ. ხელთ ვიგდეთ 3 ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი, 5 ნაღმსატყორცნი, 9 ტყვიამფრქვევი, საწყობი სამხრაგი ნაწილებისაგან, ავტოსარემონტო სახელოსნოები და რამდენიმე შტაბელი საარტილერიო ყუმბარები.

• • •

ხარკოვის რაიონში ჩვენი ნაწილები ეწეოდნენ ბრძოლებს, რომლებიც სულ უფრო და უფრო გაფთრებულ ხასიათს იღებს. საბჭოთა მებრძოლნი მამაცურად იგერიებენ მტრის ტანკებისა და მოტოქვეითი ჯარის რიცხვობრივად ჭარბი ძალების შეხოტევას. ერთ უბანზე ჰიტლერელებმა შესძლეს სოლოვით შემოჭრილიყვნენ ჩვენს თავდაცვაში. 6 ნაწილის მებრძოლებმა კონტრიერიშზე გადავიდნენ და უკუაგდეს მოწინააღმდეგე. ბრძოლის ველზე დარჩა გერმანელთა 9 დაზიანებული ტანკი, 3 ჯავშნიანი მანქანა, 2 თვითმავალი ქვემეხი, 12 ნაღმსატყორცანი და 500-მდე მოკლული ჰიტლერელი. 6 ნაწილის არტილერისტები ინტენსიურ ცეცხლს უშენდნენ მოწინააღმდეგის შემომტევ ტანკებსა და ქვეითს ჯარს. დაზიანებული და დამწვარია 7 ტანკი, გადანტეულია და ნაწილობრივ ნოსპობილია გერმანელთა ერთ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი.

• • •

როვნოს ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედი რაზმის პარტიზანები ჩასაფრდნენ გზატკეცილზე და გრანატებით მოსპეს გერმანელთა 19 ავტომანქანა. მოკლულია 80-მდე ჰიტლერელი, მათ შორის რამდენიმე ოფიცერი. სხვა რაზმის პარტიზანთა ჯგუფი თავს დაესხა გერმანელთა პოლიციის რაზმს და ხელთ იგდო ერთი ხელის ტყვიამფრქვევი, 19 შაშხანა და დიდძალი ვაზნა.

• • •

გერმანელმა ფაშისტმა არამზადებმა დაანგრიეს როსტოვის ოლქის სტანიცა ბოლშევიკოპინსკაია. სტანიცის 1.200 სახლ-კარიდან გერმანელებმა დასწვეს 840 სახლი. უსახლკაროდ დარჩა ოთხი ათასი მშვიდობიანი მეზოვრები. ჰიტლერელმა ბანდიტებმა სტანიცაში მოსპეს კინოთეატრი, კლუბი, ორი სკოლა, ფოსტა, უნივერმაღი, ელექტროსადგური და რადიოკვანძი. ნგრევას თან სდევდა ველური მხეცობა და მშვიდობიანი მოსახლეობის ხოცვა. უკან დახევისას ჰიტლერელებმა გაძარცვეს კოლმეურნენი და ცდილობდნენ თან გაეტანათ 15-დან 50-მდე წლის ახაკის ყველა მამაკაცი. სტანიცის მოსახლეობა მხოლოდ წითელი არმიის სწრაფი შეტევის შედეგად გადაურჩა გერმანულ კატორღას.

• • •

ტროხეზოვში ნორვეგიელმა პატრიოტებმა ბომბი ესროლეს გერმანელთა გეშს. აფეთქების შედეგად მოკლული და დაჭრილია 3 ოფიცერი. შეიარაღებულ ნორვეგიელთა ჯგუფი სტავანგერის რაიონში თავს დაესხა სამხედრო საწყობს. ნორვეგიელებმა გაელიტეს გერმანელთა მცველი რაზმი და ცეცხლი წაუკიდეს საწყობის შენობებს. ცეცხლით მოსპობილია გერმანელი ოკუპანტების დიდძალი საჭურველი და სხვადასხვა სამხედრო ქონება.

14 მარტის საღამოს ცნობა

14 მარტის განმავლობაში ჩვენი ჯარები ბრძოლებს ეწეოდნენ წინანდელი მიმართულებებით.

გახული კვირის მანძილზე, 7-დან 13 მარტამდე ჩათვლით, საჰაერო ბრძოლებში და მოწინააღმდეგის აეროდრომებზე მოსპობილია გერმანელთა 260 თვითმფრინავი. ამავე ხნის განმავლობაში ჩვენ 110 თვითმფრინავი დაკარგეთ.

• • •

13 მარტს ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპეს ან დაზიანეს გერმანელთა 100-მდე ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, ჩაახშეს 10 საარტილერიო და სანაღმმტყორცნო ბატარეის ცეცხლი და აიფეთქეს მოწინააღმდეგის 3 საწყობი საომარ მასალებიანად.

• • •

ვიაზმის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ წარატებას შეტევას. ხოლმ-ეარკოვსკის რაიონში გერმანელებმა თავი მოუყარეს ქვეითი ჯარის დიდ ძალებს და 20-მდე საარტილერიო ბატარეას. საბჭოთა ნაწილებმა მტრის წინააღმდეგობა გასტეხეს, დნეპრი გადალახეს და მდინარის დასავლეთ ნაპირზე მდებარე მთელი რიგი დასაყრდენი პუნქტებიდან განდევნეს ჰიტლერელები. ბრძოლა ველზე მტერზე ასობით მოკლული დასტოვა. წამოღებულია დიდი დაგლა. სხვა საბჭოთა ნაწილებმა ფართო ფრონტზე გადალახეს მდინარე ვიაზმა. ქალაქ ვიაზმის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ და რამდენიმე ათეული დასახლებული პუნქტი დაიკავეს.

• • •

ქალაქ ბელის სამხრეთით ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ და 30 დასახლებული პუნქტი დაიკავეს. ჩვენი ქვეგანაყოფების მიერ დაკავებული ერთი დასახლებული პუნქტის ქუჩებში მტრის 300-ზე მეტი გვამი დავითვალეთ. ხელთ ვიგდეთ 6 ქვემეხი, 7 ტანკსაწინააღმდეგო თოფი, ბევრი ტყვიამფრქვევი, შაშხანები, საომარ მასალათა საწყობი და სხვადასხვა სამხედრო ქონების საწყობი.

• • •

ხარკოვის რაიონში გააფთრებული ბრძოლები გრძელდებოდა. ჩვენი არტილერიისა და ჯავშანმბტერეველთა ცეცხლით მოსპობილია რამდენიმე ათეული ტანკი და მტრის 60-ზე მეტი ავტომანქანა ქვეით ჯარიანად. ხარკოვის ჩრდილოეთით ჩვენი ჯარები მტრის ქვეითი ჯარისა და ტანკების წინააღმდეგ ეწეოდნენ დაძაბულ ბრძოლებს, რომელთა მსვლელობაშიც გერმანელებს უდიდესი ზარალი მიაყენეს.

• • •

იზიუმის რაიონში 5 შენაერთის მებრძოლებმა ორი დღის განმავლობაში გერმანელთა 16 ტანკი და 2 ჯავშნიანი მანქანა დასწვეს და დააზიანეს და ჰიტლერელთა ერთ ბატალიონზე მეტი ჯარი მოსპეს. სხვა უბანზე მოწინააღმდეგემ აერიშზე გამოუშვა 11 ტანკი და მეავტომატეთა დიდი ჯგუფი. იმ სექტორში ბატარეის არტილერისტებმა, რომლის მეთაურიც არის ამხ. პარშაკი, ცოლი ასტეხეს. გერმანელებმა 5 ტანკი დაჭკრეს და საჩქაროდ დაიხიეს უკან.

• • •

ორიოლის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედი რაზმის პარტიზანებმა ამ დღეებში რკინიგზის დიდი ხიდი აიფეთქეს. ფრონტისაკენ მიმავალ უმნიშვნელოვანეს გზაზე მატარებლის მიმოსვლა შეწყვეტილია. ხიდის აფეთქების ოპერაციის დროს მოსპობილია 140 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ორიოლელ პარტიზანთა სხვა რაზმმა ლიანდაგიდან გადაგდო მოწინააღმდეგის ჯარის ეშელონი. დამტვრეულია ორთქლმავალი და მოსპობილია 6 ვაგონი გერმანელ ჯარისკაცებიანად და ოფიცრებიანად.

• • •

გერმანიის 320-ე ქვეითი დივიზიის 585-ე პოლკის საშტაბო ასეულის ჯარისკაცმა ჰენრიხ პ-მ, რომელიც ნებაყოფლობით დაგვნებდა ტყვედ, განაცხადა: „ჩვენი პოლკი საფრანგეთში იდგა. მას დაკავებული ჰქონდა 40-50 კილომეტრი სიგანის თავდაცვის ხაზი შარბურის სამხრეთით. ამ უბანზე სიმაგრეები შესდგებოდა ძელმიწური საცეცხლე წერტილებისაგან, რომლებსაც ეკალიანი მავთული ჰქონდა შემოვლებული და რომლებიც 2-3 კილომეტრ მანძილზე იყო ერთიმეორისაგან. ძელმიწურის ყოველ გარნიზონში 30 კაცი და 2 დაზგის ტყვიამფრქვე

იყო. ძელმიწურებს შორის მდებარე სანაპიროს დაცვას მარტო პატრულები ეწეოდნენ. ახლა, როცა საფრანგეთიდან აღმოსავლეთის ფრონტზე გამოგზავნილია გერმანელთა ბევრი დივიზია, საფრანგეთში დარჩენილი ნაწილები სრულიად მკარიერიცხოვანი და სუსტია იმისათვის, რომ შეძლონ ბრძოლა დიდი დესანტების წინააღმდეგ“.

• • •

13 მარტს ბერლინის რადიომ შემდეგი ცნობა გადმოსცა: „ვიაზმიდან უკან დახევისას გერმანიის ჯარებმა ქალაქიდან გამოზიდეს მთელი ისტორიული ფასეულობანი“. ბერლინის რადიოს ამ ცნობაში მცირეოდენი სიმართლეც არის. ეს სიმართლე იმაში მდგომარეობს, რომ წითელი არმიის დარტყმების ზეგავლენით უკან დახევისას ჰიტლერელებმა ვიაზმა გაძარცვეს. მაგრამ ქურდს ჩვეულებად არა აქვს სრული სიმართლე ილაპარაკოს. ნამდვილად ფაშისტმა ბანდიტებმა მოიპარეს არა მარტო ისტორიული ფასეულობანი. ჰიტლერელები არაფერს ამბობენ იმაზე, რომ მათ გაიტაცეს ქალაქის საზოგადოებრივ და კულტურულ დაწესებულებათა ქონება და პირწმინდად გაძარცვეს მშვიდობიან მცხოვრებთა ყველა ბინა.

მიმდინარეობს სალსკის აღდგენა

წითელი არმიის მიერ სალსკის განთავისუფლების მეორე დღიდან ქალაქში დაიწყო გერმანელ ოკუპანტთა მიერ დანგრეული მეურნეობის აღდგენა.

რამდენიმე დღის შემდეგ ამუშავებულ იქნა სამსხმელო და სამეთუნეო ქარხნების სამქროები, წისქვილი, წყალსადენი, ელექტროსადგური და სხვა საწარმოები. ერთი თვის განმავლობაში ადგილობრივმა მრეწველობამ წითელი არმიის საჭიროებისათვის გადასცა რამდენიმე ათასი წყვილი თექის ფეხსაცმელი, ჩექმები, ქუდუნჯები, ხელჯაგები.

სამეთუნეო ქარხანა ა ავეჯის ფაბრიკა სხვადასხვა ჭურჭელსა და ავეჯს უმზეებენ. მოგვარებულია სარეცხის საპნის, ასანთის, ბორბლის საცხებლისა და თოკის წარმოება. (საკდესი).

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილების მეორე სამეცნიერო სესია

15 მარტს გაგრძელდა კანათი მეორე სხდომაზე მოსმენილ მოხსენებათა გარშემო. დოც. გ. აბესაძე ფართოდ შეჩერდა მარცვლეულის და პურის ვერტიკალურად გავრცელების საკითხებზე. დოც. პაპალაშვილი შეეხო ჯიშთა შორის შეჯვარებული ფორმების საკითხებს. საქ. მიწსახკომის მეთესლეობის სამმართველოს უფროსმა ე. ხატიაშვილმა ვრცლად გააშუქა დარაიონების საკითხები. კამათში მონაწილეობა მიიღეს ასისტ. მარო სიხარულიძემ და სხვ.

პროფ. დეკანაძეს ეგიჩმა და ი. მარჯანიშვილმა უპასუხეს მოკამათეთ. კამათი სასელექციო მუშაობის შესახებ შეაჯამა აკად. ნ. კეცხოველმა, რომელმაც დაასკვნა შემდეგი: სასწრაფოდ უნდა გადაეცეთ წარმოებას ღონისძიებანი მასობრივი სელექციისა და ცდების ირგვლივ; გარდა ამისა, სელექციური მუშაობა უნდა ვაწარმოოთ საქართველოს სხვადასხვა ბუნებრივი პირობების მიხედვით და დაისვას საკითხი ჯიშთა გამოცდის ქსელის შესახებ.

სესიამ მოისმინა შ. ჭანიშვილის მოხსენება თემაზე — „მემინდვრეობის რესპუბლიკური საცდელი სადგურის მუშაობის ძირითადი შედეგები საშემოდგომო ხორბლის აგროტექნიკის საკითხებზე“. მომხსენებელმა დაახასიათა საცდელი სადგურის მიერ ჩატარებული მუშაობის ის ძირითადი შედეგები, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მარცვლეულ კულტურათა მოსავლიანობის გადიდებისათვის ოქიანობის ვითარებაში. მან აღნიშნა ამ მხრივ ყველაზე უფრო ეფექტიურ აგროღონისძიებათა გატარების წესები და მათი დადებითი შედეგები მოსავლიანობის გადიდების საქმეში. ამასთან ერთად მომხსენებელმა ჩამოთვალა რაზდენიმე ისეთი აგრონომიული ღონისძიება, რომელთა გატარება ზოგან უშედეგოდ რჩება სათანადო პირობათა დაუცველობის გამო (დაგვიანებული აჩეჩვა, ჯეჯილის გაზაფხულზე დაფარცხვა ნიადაგისა და ჯეჯილის მდგომარეობისათვის ანგარიშის გაუწევლად და სხვ.) და დასახა ჯეჯილის სწორად დამუშავების საშუალებანი.

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი. დოც. ხოხლოვი შეჩერდა მანქანა-იარაღების როლზე, მათს დარაიონებასა და საქართველოს ბუნებრივი პირობებისათვის სპეციფიკური მანქანა-იარაღების შექმნაზე. ს. მიქაძეს (საქ. მიწსახკომის აგროტექნიკური განყ. სამმართველოს უფროსი) საჭიროდ მიაჩნია, როგორც დროებითი ზომა, შეიცვალოს ქარიან რაიონებში ანეულის დამუშავების წესები. ალაზნის არხის რაიონში საჭიროდ მიაჩნია მორწყვა. ვ. აბაევი (სამხრეთ-ოსეთის საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი) აყენებს მინდვრის კულტურების ასორტიმენტის გამრავალფეროვნების საკითხებს, და მოითხოვს თესლბრუნვის მტკიცედ დანერგვას. დოც. ქეშელაშვილი შეჩერდა სარეველებთან ბრძოლის მეთოდებზე. დოც. მენაღარაშვილმა ილაპარაკა სასუქების როლზე და მათს ადგილობრივ გამონახვაზე. პროფ. გედევანიშვილი შეჩერდა ნიადაგის დამუშავების წესებზე რაიონების მიხედვით. პროფ. ლომოური შეეხო აჩეჩვას, ანეულის თესვის ნორმისა და ვადების საკითხებს, საკაროდ ჩასთვალა აჩეჩვაზე ცდების გაგრძელება. დოც. სარიშვილს საჭიროდ მიაჩნია დიდი ყურადღება მიექცეს ბაქტერიულ სასუქებს. პროფ. გ. რცხილაძეს საჭიროდ მიაჩნია აგროტექნიკური ცდები დაყენებულ იქნას მიკრაიონების მიხედვით. მეცნიერ მუშაკი კაფიანი შეჩერდა მინერალური სასუქების გამოყენების საჭიროებაზე.

სესიამ აირჩია სამი კომისია, რომელთაც დაევალა 17 მარტისათვის წარუდგინონ სესიას ღონისძიებანი მოსმენილ მოხსენებათა მიხედვით.

სესიის მეოთხე სხდომა შესდგება 17 მარტს, დილის 11 საათზე.

დეპეშები

იდენის განცხადება პრეს-კონფერენციაზე ვაშინგტონში

ვაშინგტონი, 13 მარტი (საკდესი). პრეს-კონფერენციაზე გამოსულმა დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა იდენმა განცხადა: ჯერ კიდევ მძიმე ბრძოლა მოგველის მანამდე, სანამ მიღწეულ იქნება გამარჯვება. ჯერ კიდევ ბევრი დამარცხებისა და იმედის გაცრუების გადატანა მოგვიხდება მანამდე, სანამ ომს მოვიგებდეთო. იდენმა იმედი გამოთქვა, რომ შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობა შეიძლება მტკიცე საფუძველზე იქნას დაფუძნებული. შემდეგ იდენმა აღნიშნა „წითელი არმიის გასაცარი წარმატებანი და რუსთა განარჯვებანი მთელი ზამთრის მანძილზე“. იდენს სთხოვეს განეკითარებინა თავისი განცხადება, რომელიც მან დეკემბერში გააკეთა თემთა პალატაში და რომელშიც ხაზგასმით აღნიშნა ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის თანამშრომლობის აუცილებლობა. იდენმა განაცხადა, რომ, მისი აზრით, „ასეთი თანამშრომლობა მშვიდობიანობის აუცილებელ და მტკიცე საფუძველს წარმოადგენს“. საჭირო აგრეთვე უზრუნველყოფილ იქნას ჩინეთთან და სხვა გაერთიანებულ ერებთან თანამშრომლობა. „ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მიღებულ იქნას სიფრთხილის ღონისძიებანი და ამგვარად უზრუნველყოფილ იქნას ის, რომ გერმანიამ და იაპონიამ ვერასოდეს ვეღარ შესძლონ აგრესიის განხორციელება“.

პასუხი გასცა რა კითხვაზე, საჭიროდ მიაჩნია თუ არა მას, რომ ომის შემდეგ კონტროლი დაწესდეს გერმანიასა და იტალიაზე განუსაზღვრელი ვადით, იდენმა განაცხადა: „არ უნდა დავიკავოთ ისეთივე პოზიცია, როგორიც წარსული ომის შემდეგ დავიკავეთ“. იდენმა აღნიშნა, რომ მისი აზრით, საკმარისი არ არის მარტო ახალი მთავრობა შეიქმნას გერმანიაში და მოღებული არ იყოს სიფრთხილის ზომები. კორესპონდენტებმა სთხოვეს იდენს ეცნობებინა — ვაშინგტონში მისი ახლანდელი დარბაზობა დაკავშირებული ხომ არ არის ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებასთან, რომელიც დადებულია 20 წლით. იდენმა ამაზე უპასუხა: მე დიდი ხანია მიმაჩნდა, რომ ინგლისი და საბჭოთა კავშირი „თავიანთ ურთიერთობას უნდა ამყარებდნენ მკვიდრი ნდობის საფუძველზე“, რომელიც ამ ხელშეკრულებით იქნა მიღწეული. იდენმა აღნიშნა სტალინის განცხადება იმის შესახებ, რომ ხსენებული ხელშეკრულების ხელმოწერა სსრ კავშირისა და ინგლისის ურთიერთობაში მომხდარ „ისტორიულ გარდატეხას“ ნიშანს აწვენდა. შემდეგ იდენმა განაცხადა, რომ ხელშეკრულების საფუძვლად უდევს ატლანტის ქარტია და გაერთიანებული ერების დეკლარაცია და რომ იგი უზრუნველყოფს ნდობის შენარჩუნებას ომის შემდეგ. იდენმა უარი განაცხადა კომენტარი გაეკეთებინა საბჭოთა კავშირ-პოლონეთის საზღვრების საკითხისათვის

იდენმა აღნიშნა, რომ მან არ იცის, თუ რამდენ ხანს დაპყოფს შეერთებულ შტატებში და რომ მას განზრახვა აქვს ეწვიოს კანადას, როდესაც თავის საქმეს დამთავრებს ამერიკის შეერთებულ შტატებში. იდენმა პასუხი გასცა კითხვაზე მიხაილოვიჩისა და პარტიზანებს შორის არსებული უთანხმოების შესახებ და განაცხადა, რომ ეს უთანხმოება ნაწილობრივ ასახავს იუგოსლავიის სახელმწიფოში სერბიელებსა, ხორვატებსა და სლოვენებს შორის წინათ არსებულ ურთიერთობას, და იმედი გამოსთქვა, რომ ეს პრობლემა გადაწყვეტილ იქნება. იდენმა განაცხადა: მე არ მომეპოვება ცნობები იმის შესახებ, რომ ფიუნეთი ცდილობს თავი დააღწიოს ომს. დიდი ბრიტანეთის მთავრობას, — სთქვა შემდეგ იდენმა, — სურს, რომ ყველა ფრანგი გაერთიანდეს გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლაში. შესაძლოა, რომ ასეთი ერთიანობის მიღწევას გარკვეული დრო დასჭირდება. ინგლისს სურს შეეჭიდოს „ძლიერი საფრანგეთი ომის შემდეგ“. შეეხო რა თავისი მეზობლობის მიზანს, იდენმა განაცხადა, რომ, როგორც კომუნიკაციაა აღნიშნული, მისი დარბაზობის მიზანია „აზრთა სალერთო გაცვლა-გამოცვლა საომარი მდგომარეობის ყველა მხარის შესახებ“. იდენს განზრახვა აქვს შეხვდეს ბევრ პირს, აგრეთვე ეწვიოს ამერიკის არმიისა და ფლოტის ნაწილებსა და სამხედრო საწარმოებს.

პასუხი გასცა რა კითხვაზე — განიხილავს თუ არა იგი ომისშემდგომი ავიაციის პრობლემებს, იდენმა განაცხადა, რომ, მისი აზრით, ეს საკითხი განხილულ უნდა იქნას იმ თვალსაზრისით, რომ საჰაერო კომუნიკაციები გადაქცეულ იქნას ერების უფრო მჭიდრო დაახლოების საშუალებად, და არა იმ თვალსაზრისით, რომ მეტოქეობა შეიქმნას ამ დარგში, და იმედი გამოსთქვა, რომ ეს პრობლემა გონივრულად იქნება გადაწყვეტილი. იდენმა აღნიშნა, რომ ძნელია შეფასება მიეცეთ გერმანიის შინაგან ამბებს, მაგრამ ცხადია, რომ გერმანია შორს არის იქიდან, რომ თავი დაანებოს ომს. შეეხო რა იტალიის მდგომარეობას ომის შემდეგ, იდენმა განაცხადა, რომ, მისი აზრით, იტალია ხანგრძლივი დროის განმავლობაში ვეღარ შესძლებს წარმოადგენდეს საფრთხეს. შემდეგ იდენმა სთქვა, რომ იგი ამერიკის შეერთებულ შტატებში იმ დროს ჩანოვიდა, როცა მოკავშირეები უკვე გრძნობენ თავიანთ ძლიერებას და როდესაც ეს ძლიერება მტრებმაც იგრძნეს. საჭიროა წამოვაყენოთ ლოზუნგი: „წინ, სამუშაოდ! ჩვენ მძიმე მუშაობა მოგველის, მაგრამ გაერთიანებული ერები შესძლებენ მის შესრულებას საერთო ძალისხმევით“.

ნორვეგიის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება

ვაშინგტონი, 12 მარტი (საკდესი). ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩამოსულმა ნორვეგიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ტრიუგვე ლიმ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ ნორვეგიას არავითარი ტერიტორიული პრეტენზიები არა აქვს. იგი მხოლოდ მიისწრაფვის დაიბრუნოს თავისი დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი და ადადგინოს თავისი ეკონომიკა და კულტურა. ლის სიტყვით, ნორვეგიის ახლანდელი მთავრობა, რომელიც ლონდონში იმყოფება, გადადგება, როგორც კი აღდგენილი იქნება ნორვეგიის დამოუკიდებლობა.

ლიმ ეჭვი გამოსთქვა იმის მიზანშეწონილობაში, რომ ომის შემდეგ შეიქმნას ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნების ფედერაცია. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებს შეუძლიათ ითანამშრომლონ ერთმანეთთან დამოუკიდებელ სახელმწიფოთა სახით, ისევე როგორც ომამდე იყო.

ამერიკის ბომბდამშენთა თავდასხმა დასავლეთ საფრანგეთზე

ლონდონი, 14 მარტი (საკდესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ 13 მარტს დღისით ამერიკის ბომბდამშენები თავს დაესხნენ დასავლეთ საფრანგეთს. იერიშების მთავარი ობიექტი იყო დაბომბილისებელი სადგური და ორთქლმავლის დეპო ამიენში. ბომბები ჩამოყრილ იქნა აგრეთვე ამბვილისა და ბეფის რკინიგზის ხაზზე.

კანადის ძალაუნებური აღიარება

ლონდონი, 14 მარტი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს უნგრეთის რადიოს ცნობას იმის შესახებ, რომ უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა კალაბ დარბაზობაზე გამოსვლისას განაცხადა, უნგრეთს საბჭოთა კავშირთან ფრონტზე დიდი ზარალი მოუყენებია. უნგრეთის არმიას, — განაცხადა კალაბ, — მძიმე ლაბორი ჩაეცა, და ჰოსპიტალები დაჭრილებით არის სავსე.

ფრანგ პარტიზანთა შეიარაღებული შეგაკეებანი ოკუპანტებთან

ლონდონი, 14 მარტი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს ციურიხიდან, ამჟამად ზემო სავოიის მთებში მრავლად არის ფრანგი ახალგაზრდობა, რომელიც გერმანიასათვის მუშაობენ ჰიტლერელ „შემგროვებლებს“ გაექცა. მთებში გაქცეულები შეიარაღებული არიან და მძლავრ პარტიზანულ რაზმებად ყალიბდებიან. ზემო სავოიის ყველა საზღვრისპირა პოსტები იტალიელ ჯარისკაცთა რაზმებს უფაროთ, ფრანგებიც უკანასკნელ ლიელთა ჯარებსა და ფრანგ პარტიზანებს შორის.

ნიუ-იორკი, 14 მარტი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, რომ ენენეგაში ზემო სავოიის მთებიდან ტყვიამფრქვევის სროლის ხმა ისმის. ვიშის მთავრობამ ეანდარმთა ძლიერი ნოტორიზებული რაზმები გაგზავნა ზემო სავოიაში ფრანგი პარტიზანების წინააღმდეგ საბრძოლველად. გაზეთი „ნოიე ციურიერ ციატენგი“ სწერს, რომ „როგორც ამტკიცებენ, მოკავშირეთა ოფიციალურ ინფორმაციები ბიარალა და საჭურველს აწვდიან ფრანგ პარტიზანებს, რომელთა მთავარი შტაბი პლატო რომბზე იმყოფება“.

იუგოსლავიელ პარტიზანთა ბრძოლა

ულენეკა, 15 მარტი (საკდესი). იუგოსლავიიდან მიღებული ცნობების თანახმად, პარტიზანები განაგრძობენ გააფთრებულ ბრძოლებს იტალიელ-გერმანელთა და უსტაშთა ჯარების წინააღმდეგ.

დიდი ოპერაციები გაჩაღდა მდინარე ნერეტვის გაყოლებაზე და სარაევო-მოსტარის რკინიგზის გასწვრივ. პარტიზანები მდინარის მარცხენა ნაპირზე გადავიდნენ და, დაიწყეს შეტევა ქალაქ კონიცის მახლობელ მთიან რაიონში განლაგებულ უსტაშთა ნაწილების წინააღმდეგ. მომზდარ ბრძოლებში პარტიზანებმა მოსპეს მოწინააღმდეგის 120 ჯარისკაცი და ოფიცერი და ტყვედ წაიყვანეს 40. ქალაქ მოსტარის მახლობლად პარტიზანებმა გაანადგურეს მოწინააღმდეგის კოლონა, რომელიც დაბანაკებული იყო რკინიგზის ერთ-ერთ სადგურში. პარტიზანებმა ხელთ იგდეს დიდძალი იარაღი, სურსათის საწყობი და მნიშვნელოვანი დოკუმენტები.

გრძელდება ბრძოლები სლოვენიაში. ორმა დიდმა პარტიზანულმა რაზმმა დასახლებული პუნქტების—კამნიკისა და მორავაცის მახლობლად წარმოებული ბრძოლების დროს გაანადგურა 400 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი და ხელთ იგდო სამხედრო მასალათა მნიშვნელოვანი რაოდენობა. პარტიზანებმა უეცარი თავდასხმით დაიკავეს დასახლებული პუნქტები—გრადაცი და ოტრიჩი და მტერს წაართვეს 2 ვაგონი ტანკი და ბევრი ავტომატური იარაღი.

უნგრელთა სისხლიანი თარეში ოკუპირებულ ვოევოდინაში

სტამბოლი, 13 მარტი (საკდესი). უნგრელი ოკუპანტები იუგოსლავიის ვოევოდინის (ბაჩკის) მოსახლეობის მასობრივი ყლეტის პოლიტიკას განაგრძობენ. მარტო ქალაქ ნოვი-სადში უნგრელებმა ოკუპაციის მთელი ხნის განმავლობაში რამდენიმე ათასი კაცი დახვრიტეს, ჩამოახრჩეს და წამებით დახოცეს. მათ დასწვეს სოფელი სილაჩი, მთელი მისი მოსახლეობა კი დახვრიტეს. სოფლის 4.000 მცხოვრებიდან მარტო ერთი კაცი გადარჩა ცოცხალი. ასეთივე ბედი ეწია ვოევოდინის ბევრი სხვა ქალაქისა და სოფლის მცხოვრებს. საოკუპაციო ხელისუფლები, ოლქის მკვიდრ მოსახლეობას ყლეტენ და იქ უნგრელებს ასახლებენ. ვოევოდინის უნგრელი მოსახლეობა ყოველთვიურად იზრდება საშუალოდ 5-6 პროცენტით. ოკუპანტები ისე პარაშუტებენ ვოევოდინაში, როგორც თავიანთ სატატონოში, და ვოევოდინის სავაჭრო და სამრეწველო საწარმოებს ითვისებენ. თარეში, ძარცვა-გლეჯა და თავაშვებული ტეროორი მხოლოდ აღვივებს ვოევოდინის მოსახლეობის სძულვილს უნგრელი ოკუპანტებისადმი. საწარმოებში, ელექტროსადგურებზე და ტრანსპორტზე საბოტაჟი იზრდება. უნგრული პრესაც კი აღიარებს, რომ უკანასკნელ ხანს შემჩნეულია მთელი რიგი ახალი დივერსიული აქტები, რომლებმაც სერიოზული ზიანი მიაყენა ძარეწველობასა და ტრანსპორტს.

გერმანელები ეპაჭრონებიან უნგრეთის მრეწველობას

ნიუ-იორკი, 15 მარტი (საკდესი). უნგრული გაზეთი „საბადშაგი“, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოდის, იუწყება, რომ გერმანელი ბანკირები და მრეწველები ამჟამად მთლიანად ახორციელებენ უნგრეთის ეკონომიკის კონტროლს. მათ ხელთ იგდეს უნგრეთის ყველა უდიდესი სამრეწველო ფირმა და საწარმო. ამას წინათ გერმანელები დაეპატრონენ „უნგრეთის საყოველთაო საკრედიტო ბანკს“, რომელიც დაკავშირებულია თითქმის ყველა ძირითად სამხედრო საწარმოსთან, ქვანახშირისა და საფეიქრო კომპანიებთან. გერმანელები პარაშუტებენ აგრეთვე უნგრეთის მთელ ნავთის მრეწველობაში ისინი ჰფლობენ რამდენიმე ქიმიური ფირმის ფასიანი ქაღალდების მეტ ნაწილს და დაეუფლნენ უნგრეთის ყველა ელექტროკომპანიას.

უცხოეთის ქრონიკა

საფრანგეთიდან მიღებული ცნობებით, ამჟამად გერმანელები საფრანგეთში მთელი რიგის 80 პროცენტის, ღვინის 70 პროცენტის და კვების მთელი დანარჩენი პროდუქტების 60-დან 70-მდე პროცენტის რეკვიზიციას ახდენენ. ხორცეულისა და თევზეულის კონსერვების პროდუქცია გერმანელებს მთლიანად გაეაქვთ

• • •

ლავალმა განაცხადა, რომ მას განზრახვა აქვს უახლოეს ხანში დახუროს საფრანგეთის ყველა უნივერსიტეტი, რათა სტუდენტები გაგზავნილ იქნან იძულებითს სამუშაოზე გერმანიაში.

• • •

ეგვიპტეში თურქეთის სამხედრო მისია ჩავიდა. მისია კაიროდან ალექსანდრიას გაეგზავნა. იგი ეწვევა ელ-ალამეინს, ბენგაზის, ტობრუკსა და სხვა პუნქტებს.

• • •

ფლორიდის შტატში (ამერიკის შეერთებული შტატები) გარდაიცვალა სანანკო სახლის მეთაური ჯონ პირპონტ მორგანი.

წყალქვეშა ნავებთან საბრძოლველად ამერიკის შეერთებულ შტატებში სულ უფრო და უფრო ფართოდ იყენებენ პატარა მზვერავ დირიჟაბლებს. ზოგიერთ შემთხვევაში ისინი საპატრულო გაფრენის დროს 3.000 მილით შორდებიან სანაპიროს. ამას წინათ ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა დაადასტურა 200 ასეთი დირიჟაბლის მშენებლობა. მათი ნაწილი უკვე მწყობრს შეეწყობა

• • •

კანადის მთავრობამ იკისრა ქვანახშირის ამოღების, კოქსისა და ხის სათბობის წარმოების კონტროლი.

• • •

ნორვეგიაში ამ უკანასკნელ დღეებში დაპატიმრებულია კიდევ 80 მძევალი.

• • •

კანადის კორვიტმა „რეგინამ“ ხელოვნაშუა ზღვაში ჩასძირა იტალიის წყალქვეშა ნავი და ტყვედ ჩაიგდო 20-ზე მეტი კაცი მისი ეკიპაჟიდან. (საკდესი).

საქართველოს სსრ რესპუბლიკის სახ. ვაჭრობის მუშაკთა აქტივის თათბირი

13 და 14 მარტს თბილისის საბჭოს წითელ დარბაზში მიმდინარეობდა საქართველოს სსრ